ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №28/გ-28

ქ. მცხეთა 4 დეკემბერი 2014 წელი

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 ნოემბრის N33 განკარგულების და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 19 ნოემბრის N407 ბრძანების თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორე მხრივ ი.მ „დავით ილურიძე"-ს სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სოფ. ჩარდახში საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა. (CPV45200000).

2. სამუშაოს შესარულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2014 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 11 800 (თერთმეტიათასრვაასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება ჩაბარების აქტისა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;

4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი წეროვნის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა როსტიაშვილი.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ი.მ „დავით ილურიძე"
ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7	სოფ. დუშეთი
ს/კოდი: 236098824	ს/კოდი: 16001011416
სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი	სს „ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**	ლიბერთი კოდი: : **LBRTGE22**
ა/ა GE11LB0120118541380000	ა/ა **GE52LB0112137465241000**
მუნიციპალიტეტის გამგებელი	ინდ.მეწარმე
ზ. აბესაძე	დ. ილურიძე